



გორის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს

განკარგულება № 6

2018 წლის 12 იანვარი  
ქ. გორი

გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიზნობრივი კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამის დამტკიცების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა კულტურის სფეროში თავისი მიღწევებით. აქ აღიზარდა მრავალი ნიჭიერი თაობა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს გორის მუნიციპალიტეტს ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე. გორის მუნიციპალიტეტში მოღვაწე ხელოვანები დღესაც წარმატებით და აქტიურად აგრძელებენ ტრადიციებს. გორის მუნიციპალიტეტის მერი აცხადებს მზადყოფნას, თანადაფინანსების სახით ხელი შეუწყოს ყველა ორგანიზაციას, რომლებიც მოღვაწეობს ხელოვნების სფეროში და კულტურული პროექტების განხორციელებით, ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებით უზრუნველყოფენ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს გაუმჯობესებას. გორის მუნიციპალიტეტის მერია თანადაფინანსების სახით ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანებს, ანსამბლებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებში, კონკურსებში, კულტურის სფეროსთან დაკავშირებულ კონფერენციებში, მასტერკლასებში, რისი საშუალებითაც შეძლებენ საკუთარი ნიჭის რეალიზებას და აიმაღლებენ კვალიფიკაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გორის მუნიციპალიტეტის მერს და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნიათ დამტკიცდეს „გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიზნობრივი კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა“.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცდეს „გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიზნობრივი კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა“, დანართი №1-ის შესაბამისად (თან ერთვის 2 ფურცლად).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორჯენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით რაზმაძე



გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიზნობრივი  
კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და  
თანადაფინანსების პროგრამა

1. პროგრამის სახელწოდება: გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიზნობრივი კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა
2. პროგრამის განხორციელების არეალი: გორის მუნიციპალიტეტი
3. პროგრამის ( ქვეპროგრამის ) დაწყებისა და დამთავრების თარიღი: 2018 წლის იანვარი - 2018 წლის დეკემბერი
4. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით - 04 02 10
5. პროგრამის დაფინანსების წყარო: ძირითადი – გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი
6. პროგრამის ანოტაცია და მისი განხორციელების პრინციპები:

გორის მუნიციპალიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა კულტურის სფეროში თავისი მიღწევებით. აქ აღიზარდა მრავალი ნიჭიერი თაობა, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ჩვენს მუნიციპალიტეტს ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე. გორში მოღვაწე ხელოვანები დღესაც წარმატებით და აქტიურად აგრძელებენ ტრადიციებს.

- 1) გორის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს მზადყოფნას, თანადაფინანსების სახით ხელი შეუწყოს ყველა ორგანიზაციას, რომლებიც მოღვაწეობს ხელოვნების სფეროში და კულტურული პროექტების განხორციელებით, ფესტივალების, კონკურსების, გამოფენების და ხელოვნების სხვა დარგების განვითარებით უზრუნველყოფენ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურის სფეროს გაუმჯობესებას. გორის მუნიციპალიტეტის მერია თანადაფინანსების სახით ხელს შეუწყობს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ კულტურის სფეროში მოღვაწე ხელოვანებს, ანსამბლებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებში, კონკურსებში, კულტურის სფეროსთან დაკავშირებულ კონფერენციებში, მასტერკლასებში, რისი საშუალებითაც შეძლებენ საკუთარი ნიჭის რეალიზებას და აიმაღლებენ კვალიფიკაციას.

## 7. საბოლოო შედეგი და შეფასების ინდიკატორები

საბოლოო შედეგი	დაფინანსებული პროექტებით, ხელს შევუწყობთ გორის მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს გაუმჯობესებას.
შეფასების ინდიკატორი	სამოქალაქო სექტორის გაძლიერება და გააქტიურება. საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. დაფინანსებული პროექტების რაოდენობა. პროექტებით მოსარგებლე ბენეფიციარები. ხელოვანების ხელშეწყობა.

## 8. დაფინანსება

პროექტების დაფინანსების პროცედურა განხორციელდება:

ა) გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ თანადაფინანსება განხორციელდება საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირების, ანსამზღვრების და ხელოვანების მიმართ, რომლებთანაც კონკრეტული პროექტის განხორციელებისათვის ექნებათ გარკვეული ფინანსური მხარდაჭერა და ამასთანავე თავად მოახდენენ პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას მატერიალური ან ტექნიკური რესურსით.

ბ) თანადაფინანსება განხორციელდება კონკრეტული პროექტის ან ინიციატივის განხილვის შემდეგ, გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ.

გ) გორის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან თანადაფინანსების თანხის ჩარიცხვა მოხდება შესაბამისი ხარჯვის დამადასტურებელი (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, სახელფასო უწყისი, ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, ხარჯთაღიწხვა, ინვოისი ) დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური: გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.